

VICTORIA

ლათინურ ენასა

და

ძველ ბერძნულ ენაში

კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 22 ივლისს 12 საათზე.

ორ-ორი საუკეთესო კონკურსანტი დაჯილდოვდება მოგზაურობით ტაო-კლარჯეთში, მომდევნო ორ ადგილზე გასულებს გადაეცემათ ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამის "ლოგოსის" ვაუჩერები "ლოგოსის" გამოცემების შესაძენად. გამარჯვებულებს გადაეცემათ დიპლომებიც.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს მიეცემათ შედარებით რთული ტესტები).

ლათინურ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს წიგნიდან: მ.ფხაკაძე. *ლათინური ენა*. თბილისი, 1984, მათ შორის შემდეგი მასალისა:

არსებითი სახელი (5 კანკლეობა), ზედსართავი სახელები, ხარისხთა წარმოება, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები (მათ შორის: is, ea, id; hic, haec, hoc; ille, a, ud; ipse, a, um; quis, quid; qui, quae, quod; idem, eadem, idem; nemo, nihil), წინდებულები და მათი ბრუნვები, ზმნა: უღლება ყველა დროში, გვარსა და კილოში, ესეე და პოსეე ზმნების უღლება, დეპონენტური ზმნების უღლება, სუპინუმი, გერუნდიუმი, მიმღობები, დაკავშირებული მიმღობა (participium coniunctum), sintaqსური konstrukciebi: nom. duplex, nom. cum infinitivo, gen. obiectivus, gen. partitivus, gen. qualitatis, dat. commodi, dat. duplex, dat. finalis, dat. possessivus, acc. duplex, acc. cum inf., acc. temporis, abl. absol., abl. auctoris, abl. causae, abl. comparationis, abl. instrumenti, abl. loci, abl. separationis, abl. temporis; aseve, cum-iani da ut (ne) konstrukciebi; si realis, si irrealis, si potentialis.

სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს მოეთხოვებათ გრამატიკული მასალის და სენტენციების ცოდნა წიგნიდან: ი.გაგუა, ე. გამყრელიძე. *Lingua Latina*. თბ., 2007.

ტესტი შედგება 7 კითხვისაგან: 7 სენტენცია (14 ქულა), სენტენციის გამოცნობა (3), ლათინურიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინტაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ლათინურ (35) და ლათინურიდან ქართულ (30) ენებზე.

ძველ ბერძნულ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს: სენტენციები წიგნიდან: ქ.აბესაძე. *ძველი ბერძნული ენა*. თბ.: ლოგოსი, 1999; გრამატიკული მასალა წიგნიდან: ა. ურუშაძე. *ძველი ბერძნული ენა*. თბილისი, 1969, მათ შორის:

არსებითი სახელი (3 კანკლეობა), ზედსართავი სახელები, ხარისხთა წარმოება, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნა: უღლება ყველა გვარსა და კილოში, მიმღობები და მათი ბრუნვა, სინტაქსური კონსტრუქციები: nom. cum inf.; gen. absol., gen. poss., gen. part., gen. comparat.; dat. comm. da incomm., dat. poss., dat. instr., dat. causae, dat. relat., dat. temp.; acc. dupl., acc. relationis, acc. temp., acc. cum inf.

სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს – 20 პარაგრაფის ფარგლებში გრამატიკული მასალა და სენტენციები, წიგნიდან: ქ.აბესაძე. *ძველი ბერძნული ენა*. თბ., 1999; გრამატიკული მასალა და სენტენციები წიგნიდან: მ. შკედელიძე. *ძველი ბერძნული ენა დამწერლობის*. თბ., 2011.

ტესტი შედგება 7 კითხვისაგან: 5 სენტენცია (10 ქულა), კროსვორდის შევსება (7), ძველი ბერძნულიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინტაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ბერძნულ (35) და ბერძნულიდან ქართულ (30) ენებზე.

შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით, ქულების მინიმალური ოდენობაა 71 ქულა. თუკი ყველაზე ძლიერი მონაწილე მხოლოდ 70 ქულას დააგროვებს, კონკურსს გამარჯვებული არ ეყოლება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- პირადობის მოწმობის ან სტუდენტობის (მოსწავლის ბილეთის) ასლი;
- შეესებული ანკეტა-განაცხადი.

საბუთების მიღება იწარმოებს 8დან 18 ივლისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 11.00-17.00 სთ., ჭავჭავაძის პრ. 13, თსუ VIII კორპუსი, III სართული, ს. ყაუხჩიშვილის სახ. ბიბლიოთეკა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ ტესტების ნიმუშებს გაეცნონ აქვე ან შემდეგ საიტზე: www.greekstudies-tsu.ge. კითხვები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე: vaktangr@gmail.com.

მიიღეთ მონაწილეობა კონკურსში და გახსოვდეთ: *Audentes fortuna iuvat!*